სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“

ვაკანტური თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

პროექტის დასახელება: ''არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა - ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემების გაძლიერება საქართველოში''.
პროექტის განმახორციელებლები: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და ვორლდ ვიჟენ საქართველოს ფონდი.
პროექტის სამიზნე რეგიონები: თბილისი, იმერეთის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის და აჭარის რეგიონები (სულ 15 მუნიციპალიტეტი).

მომსახურების დაწყების თარიღი: ივლისი, 2023
მომსახურების დასრულების თარიღი: მაისი, 2024

პოზიცია: ექსპერტი/ტრენერი (საკომუნიკაციო მიმართულება) (შრომითი ხელშეკრულებით)
რაოდენობა: 2 საკონკურსო ადგილი

ანაზღაურება: შეთანხმებით
გთხოვთ წარმოადგინოთ ქვემოთ მითითებული შესასრულებელი სამუშაოსთვის შესაბამისი / მისაღები ანაზღაურება:

განაცხადის ვადა: 20.06.2023-30.06.2023
მისამართი: ქ. თბილისი 0198 კახეთის გზატკეცილი #99
ელ. ფოსტა: hr@ncdc.ge;
ტელეფონი: 116001

შესასრულებელი სამუშაო:

#	ვალდებულებათა აღწერა	შესრულების საორიენტაციო ვადები	ანაზღაურება
1.	**ორი ტიპის სასწავლო მოდულის შემუშავება შემდეგ საკითხებზე:** 1. სამიზნე პოპულაციებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის თემების კომუნიკაციისა და პოპულაციის მომიბილიზაცია (საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრებისა და პირველადი ჯანდაცვის პერსონალისათვის). 2. სამიზნე პოპულაციებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის თემების კომუნიკაციისა და პოპულაციის მომიბილიზაცია (სოციალური მუშაკებისთვის). **ორივე პროგრამისთვის შესაბამისი კურიკულუმის მომზადება** ტექსტი და პრეზენტაციები, კურსის წინა და კურსის შემდგომი კითხვარები, უახლოესი ეროვნული და საერთაშორისო გაიდლაინებსა და სტანდარტებზე დაყრდნობით. ასევე, ელექტრონული მოდულისთვის ადაპტირებული ვერსიები.	**15 ივლისი - 15 სექტემბერი**	

	• კურიკულუმები უნდა იყოს გათვლილი 2-დღიანი ტრენინგებისთვის. • პროგრამები უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს: ეფექტური კომუნიკაციის როლი პრევენციული სერვისებით (მ.შ. ვაქცინაციით) სარგებლობის ბარიერების გადასალახად. ჯანმრთელობის პრევენციული სერვისებით სარგებლობის ორჭოფობისა და უთანასწორობის ძირეული მიზეზები სხვადასხვა ჯგუფს შორის და ეფექტური კომუნიკაციის როლი ასეთი ძირეული მიზეზების აღმოფხვრაში, მათ შორის ფოკუსირება თანასწორობაზე და საზოგადოებაზე ორიენტირებულ სტრატეგიებზე პანდემიის დროს და მის შემდგომ პერიოდში. გამოყენებული უნდა იქნას პრაქტიკული მაგალითები, შემთხვევის შესწავლა, საუკეთესო პრაქტიკისა და სამოქმედო ნაბიჯების მიმოხილვა ადგილობრივი საკომუნიკაციო სისტემების გასაძლიერებლად და პრევენციული სერვისების მიმღებლობის ხელშეწყობისთვის სხვადასხვა ჯგუფში.		
2.	**საპრეზენტაციო და საინფორმაციო-საკომუნიკაციო მასალების შემუშავება** ვაქცინაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა და სახელმწიფო პრევენციული პროგრამების შესახებ თემებში, **თემის ლიდერებისა და რელიგიური ლიდერებისათვის საინფორმაციო სესიებისთვის.**	**15 ივლისი - 15 ოქტომბერი**	
3.	**საპრეზენტაციო და საინფორმაციო-საკომუნიკაციო მასალების შემუშავება მოწყვლადი ქალებისა და გოგონების და მათი ოჯახის მამრობითი სქესის წევრებისთვის** რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და COVID-19/ სხვა დაავადებების შესახებ, მათ შორის ორსულობის, ძუძუთი კვებისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საინფორმაციო სესიებისთვის.	**15 ივლისი - 15 ოქტომბერი**	
4.	**2-წლიანი კომუნიკაციის სამოქმედო გეგმის შედგენა** პროექტის ფარგლებში განხორციელებული იმუნიზაციასთან დაკავშირებული კომუნიკაციისა და ინფორმაციის ხარვეზების კვლევის შედეგების საფუძველზე და უახლესი ეროვნული და საერთაშორისო სახელმძღვანელოებსა და სტანდარტებზე დაყრდნობით.	**15 ივლისი - 15 ოქტომბერი**	
5.	**5 სარეკლამო ვიდეოსა და ბეჭდური მასალის (მ.შ. 1 ბანერი და 1 ბროშურა) კონცეფციისა (მ.შ. ვიზუალური) და შინაარსის შემუშავება.**	**15 ივლისი - 31 აგვისტო**	
6.	**ჯანდაცვის პერსონალის და საზოგადოების სოციალური მუშაკების მომზადება, თუ როგორ გაავრცელონ ინფორმაცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხების შესახებ სამიზნე ჯგუფებს შორის (40 ერთდღიანი ტრენინგი)** • სამიზნე რეგიონები: თბილისი, იმერეთის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის და აჭარის რეგიონები; • ტრენინგის მონაწილეები: o 1000 ოჯახის ექიმი და ზოგადი პრაქტიკის ექიმი, ფსიქოლოგი; o 30 თემის ჯანდაცვის მუშაკი და თემის სოციალური მუშაკი.	**15 ოქტომბერი 2023 - 31 მაისი 2024**	
7.	**15 ერთდღიანი საინფორმაციო სესიების ჩატარება** COVID-19 ვაქცინაციის და სხვა მნიშვნელოვანი ჯანდაცვის ღონისძიებებისა და ვაქცინაციების შესახებ თემებში, **თემის ლიდერებისა და რელიგიური ლიდერების მონაწილეობით.**	**1 ნოემბერი 2023 - 31 მაისი 2024**	

	• სამიზნე რეგიონები: თბილისი, იმერეთის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის და აჭარის რეგიონები; • 400 მონაწილე, მამრობითი და მდედრობითი სქესის;		
8.	**15 ერთდღიანი საინფორმაციო სესიების ჩატარება მოწყვლადი ქალებისა და გოგონების და მათი ოჯახის მამრობითი სქესის წევრებისთვის** რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და COVID-19/ სხვა დაავადებების შესახებ, მათ შორის ორსულობის, ძუძუთი კვებისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. • სამიზნე რეგიონები: თბილისი, იმერეთის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის და აჭარის რეგიონები; • 400 მონაწილე, მამრობითი და მდედრობითი სქესის;	**1 ნოემბერი 2023 - 15 მაისი 2024**	

დამატებითი ინფორმაცია:

- მომსახურება არის შედეგზე დაფუძნებული.
- პერიოდულად საჭირო იქნება პროექტის განხორციელებაში ჩართულ მხარეებთან პირისპირ შეხვედრები.
- საკონსულტაციო მომსახურების ვადაა რვა (11) თვე.
- პროექტი უზრუნველყოფს ტრენინგების ორგანიზებას;
- კონსულტანტების ტრანსპორტირების, სასტუმროსა და კვების ხარჯებს უზრუნველყოფენ თავად კონსულტანტები.
- კონსულტანტებმა ტრენინგები უნდა ჩაატარონ პროექტის სამიზნე რეგიონებში: თბილისი (10 რაიონი), იმერეთი (ქუთაისი, ზესტაფონი, ბაღდათი), კახეთი (თელავი, გურჯაანი, ყვარელი), სამცხე-ჯავახეთი (ადიგენი, ახალციხე, ბორჯომი) და აჭარა (ბათუმი).
- კონსულტანტმა უნდა უნდა წარმოადგინოს გაწეული სამუშაოს შუალედური (5 თვეში), საბოლოო ანგარიში (ხელშეკრულების დასრულებამდე 2 კვირით ადრე) და ყოველი ტრენინგის დასრულების შემდგომ ტრენინგებისა და საინფორმაციო სესიების მონაწილეთა სიები (ქაღალდის და ელექტრონული ვერსიები).

<u>**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**</u>

სავალდებულოა:

- უმაღლესი განათლება: მედიცინის მიმართულებით.
- არანაკლებ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება იმუნიზაციისა და ჯანდაცვის კომუნიკაციის პროგრამების, ჯანმრთელობის კომუნიკაციის საკითხებზე ჯანდაცვის პერსონალის ტრენინგისა და მოსახლეობის საინფორმაციო სესიების ორგანიზება და განხორციელებაში (უპირატესობა მიენიჭებათ მოწყვლად პოპულაციებთან მუშაობის, საერთაშორისო პროექტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში სამუშაო გამოცდილების მქონე პირებს).
- ჯანმრთელობის საკითხებზე (მ.შ. იმუნიზაციაზე) კომუნიკაციის საკითხზე ტრენინგ მოდულების შემუშავების გამოცდილება.
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო მასალების შემუშავების გამოცდილება იმუნიზაციისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვა საკითხებზე .
- ტრენინგის განხორციელების გამოცდილება, კომუნიკაციისა და მოსახლეობის მობილიზაციის საკითხებზე.
- ელექტრონული მოდულებზე შემუშავების გამოცდილება.
- ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა (ზეპირი და წერილობითი).

სასურველია:

- იმუნიზაციის კომუნიკაციის სახელმძღვანელოსა და სამოქმედო გეგმის შემუშავების გამოცდილება.
- საერთაშორისო სერთიფიკატი ჯანმრთელობის კომუნიკაციის სწავლების საკითხებზე.
- საინფორმაციო სისტემებისა და მონაცემთა დამუშავების ცოდნა.
- ინგლისური ენების სრულყოფილი ცოდნა (ზეპირი და წერილობითი).

უნარ-ჩვევები:

- მაღალი პასუხისმგებლობა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება;
- ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- კომუნიკაბელურობა და ანგარიშგების კარგი უნარი;

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ: გამოაგზავნოთ მითითებული დოკუმენტაცია შემდეგ ელ. ფოსტაზე: hr@ncdc.ge.

- რეზიუმე (CV) ქართულ ენაზე (კანდიდატის განათლების, გამოცდილების, პროფესიული საქმიანობის სრული მიმოხილვა);
- განათლების დამადასტურებელი დიპლომი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.
- სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები: შრომის წიგნაკი ან ცნობა სამუშაო ადგილის შესახებ;
- მიუთითოს ორი რეკომენდატორის გვარი და სახელი, თანამდებობა, ელ. ფოსტა და საკონტაქტო ტელეფონი.

კონკურსის ეტაპები

- განცხადების გადარჩევა
- გასაუბრება

გთხოვთ, პოზიციის სახელწოდება მიუთითოთ ელექტრონული ფოსტის hr@ncdc.ge სათაურში, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი რეზიუმე არ განიხილება.
დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატი ვერ გადავა კონკურსის მეორე ეტაპზე.